

ქალაქი მოდერნიზმის ესთეტიკაში
(„ცისფერყანწილების“ პოეზიის მაგალითზე)

მოდერნიზმი რთული და მრავალმხრივი მოვლენაა კულტურის ისტორიაში. ეს არის ეპოქა, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ბევრი საყოველთაოდ აღიარებული ღირებულება, რომელთა სისწორეშიც აქამდე ეჭვი არავის ეპარებოდა. იცვლება საზოგადოების ცხოვრების წესიც - დრო ჩქარდება, ცხოვრების რიტმი ხდება დაძაბული, ნევროტული. სწორედ მოდერნიზმის ეპოქაში აქტიურდება ქალაქური ტექსტები. ამას კი, თავის მხრივ, ქალაქის, როგორც კონტექსტის, ქალაქური ცხოვრების წესის აღორძინება უდევს საფუძვლად.

მოდერნიზმის ესთეტიკაში ქალაქი მნიშვნელოვანი სივრცეა. ეს არის ადგილი, სადაც ვითარდება მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული პროცესები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოდერნიზმის ესთეტიკისთვის მნიშვნელოვანი ცნებებია ცენტრი და პერიფერია. ცენტრის ფუნქციას დიდი ქალაქები ითავსებენ, მსოფლიო დედაქალაქები, სადაც კულტურული ცხოვრება დღეს. ფილოსოფია და ლიტერატურა კი ცდილობს, გაანალიზოს ის სირთულეები, რაც ეხება ახალ ცხოვრებასა და ინდივიდის არსებობის წესს ამ ცხოვრებაში.

ქალაქის თემა აქტიურდება ქართველ მოდერნიზმ მწერლებთან. რამდენად ადეკვატურნი არიან ისინი ამ თემატიკის დაშუშავებისას და განსაკუთრებით დიდი ქალაქების ყოფის კრიტიკული შეფასებისას? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, მოკლედ მიმოვიხილოთ გამოჩენილი მოაზროვნეების შეხედულებები თანამედროვე ქალაქის თაობაზე.

ურბანიზმი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკაზე ორიენტირებულ დამოკიდებულებასა და ცხოვრების წესს გამოხატავს. სხვანაირად მას „ქალაქის ფილოსოფიასაც“ უწოდებენ ხოლმე. „ქალაქი როგორც სიმბოლო“ მეოცე საუკუნის თეორეტიკოსებისთვის აქტუალური საკითხია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაშრომებს ქმნიან გეორგ ზიმელი, იური ლოტმანი, მიშელ დე სერტო, ვალტერ ბენიამინი, როლან ბარტი, ჟან ბოდრიარი და სხვები.

გეორგ ზიმელის ესე „დიდი ქალაქები და სულიერი ცხოვრება“ 1903 წელს გამოქვეყნდა კრებულში „დიდი ქალაქი. მოხსენებები და ნარკვევები ქალაქდაგეგმარების შესახებ“. ზიმელის აზრით, დიდი ქალაქის მაცხოვრებლის ფსიქიკური ტიპი დიდად განსხვავდება პატარა ქალაქის ან სოფლის მაცხოვრებლის ფსიქიკური ტიპისგან. დიდი ქალაქისთვის დამახასიათებელია გონებასა და გათვლაზე დამყარებული ურთიერთობების არსებობა, ხოლო პატარა ქალაქისთვის/სოფლებისთვის - ემოციურ კავშირებზე აგებული ურთიერთობები. „ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელზეც მეტროპოლიური ინდივიდუალობაა აგებული, ესაა ცხოვრების გამწვავებული ნევროტულობა, განპირობებული შინაგან და გარე შთაბეჭდილებათა უწყვეტი და სწრაფი ცვალებადობით“ (ზიმელი 2014: 9) - წერს იგი. ზიმელის აზრით, გამაღიზიანებელი სტიმულების წინააღმდეგ დიდი ქალაქის მაცხოვრებლებს ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმი აქვთ, რომელიც ენერგიას ზოგავს - ესაა გულგრილობა (Blasiertheit). სწორედ მისი მეშვეობით ახერხებს იგი თავისი თვითმყოფადობის დაცვას. ინდივიდი ყველაფერს არ აქცევს ყურადღებას, არ რეაგირებს, ვთქვათ, ქუჩაში გამოკიდებულ ყველა ბილბორდზე. თუმცა იგივე გულგრილობა შეიძლება გამოიჩინოს მაშინაც, როდესაც თანაგრძნობაა საჭირო: მან, შესაძლოა, ერთნაირი გულგრილობით ჩაუაროს მაღაზიის ვიტრინასაც და „ქუჩაში, მტვერში წაქცეულ ბავშვსაც“¹.

¹ გულგრილობაზე, როგორც ქალაქური ცხოვრების წესის მნიშვნელოვან კომპონენტზე, საუბრობს ჟან ბოდრიარიც ესეში „ქალაქი და სიძულვილი“. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქში სოციალურობის ყველა ელემენტი სრულყოფილიაა წარმოდგენილი, იქნება ეს სივრცითი სიახლოვე, კომუნიკაციის სიმარტივე თუ ინფორმაციის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობა, სწორედ ამ პროცესების დაჩქარება წარმოშობს გულგრილობას, რაც სოციალური კავშირების უარყოფამდე მიდის.

ცხოვრების ინდუსტრიალიზაცია და ყველაფრის რიცხვებად დაყვანა, რაციონალური გამოთვლები და პრაქტიკული გონება - სწორედ ამ ფაქტორებს ასახელებს ზიმიელი თანამედროვე დიდი ქალაქების პირობების მიზეზებადაც და შედეგებადაც: „ცხოვრების გარეგნული ასპექტების ერთი შეხედვით უმნიშვნელო კონკრეტულ მომენტებში ან საქმეებში მენტალურ ტრადიციათა მრავალი მახასიათებელი შეიძლება ვიპოვოთ. თანამედროვე გონება სულ უფრო და უფრო მეტს ითვლის. პრაქტიკული ცხოვრების გამოთვლილი სიზუსტე, რაც ფულადი ეკონომიკის შედეგია, ბუნების მეცნიერების იდეალს შეესატყვისება, კერძოდ, მის მისწრაფებას - წარმოადგინოს სამყარო, როგორც არითმეტიკული პრობლემა და მისი ყოველი ასპექტი - მათემატიკური ფორმულის წვერად აქციოს. სწორედ ფულადმა ეკონომიკამ აქცია მრავალი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება განუწყვეტელ წონვად, ზომვად, ანგარიშად, დანომვრად, და ხარისხობრივ ღირებულებათა - რაოდენობრივ ცნებებზე დაყვანად" (ზიმიელი 2014: 12).

პიროვნების ცხოვრების ახალი წესი თავისი ქუჩური აურზაურით, ინდუსტრიული ცხოვრებით, სწრაფი ტემპით გამორიცხავს ღრმა ემოციურ კავშირებს ადამიანთა შორის, რაც, თავის მხრივ, ქმნის კონტრასტს პატარა ქალაქების/სოფლების დუნე, რუტინულ ყოფასთან. ეს უკანასკნელი ხშირად მცირე საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გამყარებულ ქცევის წესებს, უშუალო კავშირებს გულისხმობს.

ქალაქი სტატიკური სივრცე არ არის. ის მუდმივად გარდაიქმნება, იცვლება. „გ. ზიმიელი და ვ. ბენიამინი მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ქალაქური ცხოვრების გამოცდილება ექსცენტრიზმით/ექსცენტრიული პოტენციალით არის დატვირთული. თანამედროვე ქალაქი არის ქაოტური, მასობრივი იმპულსებისა და სტიმულების შედეგად მიღებული შოკი. ...ქალაქურ შოკს ორმაგი ხასიათი აქვს. შოკი, რომელიც გამოწვეულია მასების უწყვეტი მოძრაობით, იწვევს ერთდროულად თრობის და მოწყენილობის განცდას. ზიმიელის აზრით კი, ეს არის სვლა თვალსაჩინო ერთფეროვნებისაკენ, რის გამოც ადამიანი იწყებს სხვადასხვა ტიპის „ექსცენტრიულობის“ კულტივირებას, იმ იმედით, რომ ვინმე შენიშნავს და მასში გამოარჩევს“ ფილოსოფიური ურბანიტიკა (ზაქარაძე 2014: 52). (შდრ. მარტინ ჰაიდეგერის „თემშარი“: „ამოდ დაშვრება კაცი, დედამიწა დაგემარებით მოაწესრიგოს, თუკი თემშარის ნაუბარს ყურს არ ათხოვებს. და აჰა, თავს დაგვტრიალებს ხიფათი, რადგან დღევანდელნი უყურთასმენოდ შთენილან მისი ნაუბრის წინაშე. მათ ყურს ოდენ ისევ და ისევ აპარატთა ხმაური აღწევს, რასაც ისინი ლამისაა ღვთის ხმად რაცხენ. ასე იბნევა და უგზოუკვლოდ რჩება ადამიანი. დაბნეულთ კი მარტივი ერთფეროვნებად ეჩვენებათ. ერთფეროვნება კი მოყირჭებას ბადებს. გაბეზრებულნი მხოლოდ და მხოლოდ ერთფეროვნებას აწყდებიან. გაუჩინარებულა მარტივი, დაშრეტილა მისი უშფოთველი ძალი“ (ჰაიდეგერი 1993: 25).

აქვე შევხვით ბენიამინის მოსაზრებას: მისი აზრით, ქალაქის ექსცენტრიულობას ქმნის კონფლიქტი, ხელოვნურობასა და ბუნებას შორის. ანტითეზა „ბუნებრივი-ხელოვნური“ განსაზღვრავს თანამედროვე ქალაქს. ტექნიკის საოცრებები ადასტურებს იმას, რომ თანამედროვე დიდი ქალაქი იმონებს ბუნებას. ბენიამინისთვის თანამედროვეობა (modernity) და მისი პროდუქტი - „მეგაპოლისი“ - ნიშნავს ბუნების ძალების მითის დასრულებას.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფრიდრიხ ნიცშეს მოსაზრებაზე, რომელსაც იგი ავითარებს თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. ქალაქური ცხოვრების ნიშან-თვისებებზე იგიმსჯელობს ნაშრომის მესამე ნაწილის ერთ-ერთ თავში, რომელსაც სახელად ეწოდება „გზადავლისათვის“. აქ, „დიდი ქალაქის“ კართან, ზარატუსტრა „ლორბლიან რეკვენს“ ხვდება: „ჰე, ზარატუსტრა, აქ დიდი ქალაქია: აქ არაფერი გაქვს საძიებელი, დაკარგვით კი ყველაფერს დაჰკარგავ. რად მოვისურვებია ამ წუმპეში ჩაფლობა? შეიბრაღე შენი ფეხები! უკეთესია შეაფურთხე ქალაქის და გაბრუნდი! აქ ჯოჯოხეთია მწირი აზრებისთვის: აქ დიდ აზრებს ცოცხლად აღუდებენ და ხარშვით ამცირებენ. აქ ლპება ყველა დიდი გრძნობა. აქ მხოლოდ მხმარ მცირე გრძნობათ შეუძლია ხმაურობა! განა არ ყნოსავ სასაფლაოს და სულის სამიკიტნობს? განა ამ ქალაქს დაკლული სულის სიმყარის ომშივარი არ ასდის?“ (ნიცშე 1993: 134). როგორც თ. ირემაძე აღნიშნავს: „ზარატუსტრას საუბარი „ლორბლიან რეკვენთან“ ცხადყოფს, რომ ქალაქი არის „წუმპე“, „ჯოჯოხეთი“, „მცირე გრძნობათა ადგილსამყოფელი“, სადაც ბრძენი განდევნილი (ანუ თავად ზარატუსტრას) „დიდი

აზრებისთვის" ადგილი არ რჩება. ქალაქში „ბინძური სულის" პროდუქტები იკიდებენ ფეხს და ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ფორმა ტყუილი და პირფერობაა. აქ ყოველგვარი სახის „ბილწი და მლიქვნელობა" გაბატონებულია, რადგან ეს თვისებები ქალაქური ცხოვრების თანმხლები ნიშან-თვისებებია" (ირემადე 2014: 128)

გვერდს ვერ აუვლით მიგელ დე უნამუნოს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დიდი ქალაქები ინდივიდუალობას აკარგვენ პიროვნებას. იგი ადვილად ხდება მასის ნაწილი: „დიდი ქალაქები, არსებითად, ვითომ დემოკრატიულია, თუმცა პირადად მე, რაღაცნაირი, გაუცნობიერებელი შიში მაქვს ყოველგვარი დემოკრატიზაციისა. დიდ ქალაქებში კულტურა გაცილებით ფართო საზოგადოებას მოიცავს და დიდი გასაქანიც აქვს, მაგრამ ერთგვარად გაუბრალოებულია. ხალხი თეატრებში უფრო დიდი ხალისით დარბის, უაზრობის ეს ბუდე უფრო იზიდავს, ვიდრე შინ ყოფნა და წიგნის კითხვა; ეტყობა, ერთად ყოფნის, თავშეყრის დაუოკებელი მოთხოვნილება, ერთგვარი ჯოგური ინსტინქტი მიაქანებს მათ ერთმანეთისაკენ, რაღაც ურთიერთობის აუცილებლობა" (უნამუნო 2016:

<http://www.qwelly.com/group/literature/forum/topics/qalaqi>)

იგი იხსენებს გერა ჟუნკეირუს სიტყვებს იმის შესახებ, რომ დიდი ქალაქების ხმაურიანი ცხოვრებით სიამოვნებით ტკბებიან მწირი წარმოსახვის მქონე ადამიანები, რომლებიც ამ ორომტრიალში ეძებენ „საკვებს", ხოლო იმას, ვისაც ღრმა შინაგანი სამყარო აქვს, ეშინია, რომ ამ რაა-რიაში არ წაერთვას ყველაზე ძვირფასი.

ქართულ ხელოვნებაში პირველი ქალაქური ტექსტები 10-20-იან წლებში ჩნდება. ამავე პერიოდში ხდება თბილისი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ეპიცენტრი. ის თავს უყრისქართველ, რუს თუ სომეხ ხელოვანებს და ქმნის მულტიკულტურულ შემოქმედებით სივრცეს. ამ დროს თბილისში ყალიბდება სხვადასხვაგვარი სახელოვნებო დაჯგუფება, იხსნება არტკაფეები. „თუკი რომანტიზმის ხანა სალონურ კულტურასთან ასოცირდება, მოდერნიზმის ხანის ემბლემად შეგვიძლია კაფეები მივიჩნიოთ, სადაც თავს იყრიდნენ ხელოვანები და იქმნებოდა ექსპერიმენტები, რომლებიც შემდგომში ხელოვნების ნიმუშად იქცეოდა. ამ მხრივ, ქართული მოდერნიზმი თავისი ევროპული ანალოგის მიხედვით ვითარდება. თბილისში იხსნება არტისტული კაფეები, რომლებიც სხვადასხვა მოდერნისტული მიმართულების წარმომადგენლების თავშეყრის ადგილად იქცევა. აქ ხვდებიან ერთმანეთს სიმბოლისტები, აკმეისტები, ფუტურისტები, დადაისტები, კუბისტები, კუბოფუტურისტები, კონსტრუქტივისტები, ზაუშნიკები და იმართება შემოქმედებითი საღამოები თუ საჯარო კითხვები" (ლომიძე 2016: 342).

დიდი ქალაქის თემა აქტიურდება პოეტების, მხატვრების ნაწარმოებებში. ხელოვანების აზრით, ქალაქის სახე ზუსტად ასახავდა თანამედროვე ადამიანის სულიერ ყოფას.

სწორედ მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება ქალაქი, როგორც ფერწერული ტექსტი და ურბანოსემანტიკით დატვირთული მხატვრული ნამუშევრები (ნიკო ფიროსმანი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, შალვა ქიქოძე). ვინაიდან მხატვრული ტექსტი (ფართო გაგებით) გულისხმობს რეფლექსიას რეალობაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ურბანული თემების წამოწევა დაკავშირებულია ზოგადად ქალაქური ყოფის ფორმირებასთან, რაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი მარკერია მოდერნიზმისა, როგორც ახალი კულტურული და ესთეტიკური მოდელისა.

ამ პერიოდში აქტიურდება ურბანული გართობის თემა - კაფეები, ბარები, კაბარე. ქართველი მოდერნისტი მხატვრებისთვის ეს თემა პარიზში ყოფნის დროს გააქტიურდა. პარიზი მათთვის სწორედ ის მეგაპოლისია, სადაც ათასი ხალხი ადამიანი ირევა, მაგრამ ადამიანი მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ის მარტოა მაშინაც, როცა, მაგალითად, კაფეში, მის ირგვლივ უამრავი ხალხია. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ შალვა ქიქოძის ნახატები. ინდუსტრიული საზოგადოების განვითარება ახალი ცხოვრების წესს კარნახობს ადამიანებს. ჩნდება კითხვა - რას ნიშნავს ადამიანი მოდერნისტული საზოგადოებისთვის? მართალი იყო მარქსი, როცა მას სოციალურ მიმართებათა ერთობლიობად მიიჩნევდა?

თბილისური ბოჰემის უპირველესი სულისჩამდგმელები „ცისფერყანწელები" არიან. ბევრი მკვლევრის აზრით, სწორედ მათი ეპატაჟური გამოჩენით ქართულ კულტურაში იწყება ქართული მოდერნიზმი. მათი ცხოვრებაცა და შემოქმედებაც ნათელი დასტურია იმისა, რომ

ახალ კულტურულ გარემოში საჭიროა ახალი, დასავლურ სტანდარტებზე მორგებული ხელოვნება.

გურამ ასათიანი წერს: „ცისფერყანწელები“, პირველნი ქართულ მწერლობაში, შეეცადნენ პოეზიაში ე.წ. ურბანისტული მსოფლშეგრძნების შეტანას. ამ თვალსაზრისით, პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“ წარმოადგენს თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთ პირველ ლირიკულ პეიზაჟს მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში.

სიცხიანი, ჰალუცინაციებით აბოდეებული ქალაქი, სადაც ლურჯი ჰაერი დამსხვრეული შუშის მტვერით ელავს, სადაც სნეული ძაღლები ქუჩებში ყრიან და თვალეხახვეული ცხენები მკერდს იხევენ რკინის სვეტებზე, პაოლო იაშვილს წარმოუდგებოდა მისტიკურ კოცონად, რომელშიც უმწეო მშვენიერ ფრინველებთან ერთად სამუდამოდ იწვოდნენ პოეტის წმიდათაწმინდა ილუზიებიც, და ეს სისხლიანი სასაკლაო, როგორც მთვრალ ხარს, ისე იზიდავდა პოეტის შთაგონებას“ (ასათიანი 1977: 306).

„ფარშავანგები ქალაქში“ პაოლოს პირველი ვერლიბრია, ასევე ერთი იმ ლექსთაგანი, რომელშიც კარგად ჩანს ურბანული ყოფის სიმძიმე. ლექსი თითქოს წუხს ქალაქში გამეფებული ქაოსის, ხმაურის, სიცხის გამო, რომლის წინაშე დარჩენილი ლირიკული გმირის ფიქრები „რეტიანია“:

„როგორც დამსხვრეულ შუშების მტვერი,
ისე ელავდა ლურჯი ჰაერი,
და მოძრაობდა ჩქარ ელვარებით
ხალხი, მორთული ცხელ ოღარებით.
ქარნების ყვირილი და კვამლი ღვრია,
ქუჩებში სნეული ძაღლები ყრია;
ენავიან სახლებზე ფერადი კატები,
საყდრის გუმბათები
ცას ეშურებიან, ვით ცეცხლის ენები,
მხურვალე ცახცახით დაჰქრიან ცხენები.“ (იაშვილი 2004: 24)

აღსანიშნავია ლექსის პოლიფონიურობა - ლექსში რამდენიმე საზომის მონაცვლეობა გვხვდება. ვფიქრობთ, ეს არ არის მხოლოდ მხატვრული ეფექტისთვის შექმნილი მეტრული მრავალფეროვნება. არამედ ის, რომ ტექსტი ფორმალურადაც (და, ალბათ, მიზანმიმართულად) გაურბის ჰარმონიას, სიმწყობრეს, რათა უფრო ეფექტური იყოს იმგვარი პეიზაჟის შექმნა, რომელიც შორსაა ჰარმონიისგან.

მაშ, სად არის ჰარმონია? სად შეიძლება დაცხრეს ვნებები? სად არის სიმართლე და არა სიყალბე? პასუხი ასეთია - იქ, სადაც ქალაქი არ არის. ურბანულ ყოფას ყველაზე ხშირად სოფლის სიწმინდე უპირისპირდება. პასტორალურ ყოფასთან შეპირისპირებით უკეთ წარმოჩინდება ქალაქის შემზარავობა.

სოფლისა და ქალაქის ოპოზიცია ყველაზე კარგად ჩანს პაოლო იაშვილის ლექსში „წერილი დედას“. სოფლის, „მყუდრო სამყოფელის“ დატოვება ტექსტში ცხოვრების ძველი წესის შეცვლასა და ახლის ძიებას უკავშირდება. თუმცა თუ გავიხსენებთ, როგორია მოდერნისტული ლირიკული გმირის არსებობის წესი ურბანიზმის პირობებში, ცხადია, რომ ეს ძიება იმედგაცრუებით დასრულდება: „სალახანა“ - ასე სახელდება ქალაქში დაკარგული გმირი საკუთარ თავს.

„დავტოვე სოფელი,
მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები - სიმინდის ყანა!
ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები
და დავიკუნტებ
იქალაქის ქუჩებში მე - სალახანა.“ (იაშვილი 2004: 32)

ლექსში სოფელი სიწმინდესა და სიმართლეს უკავშირდება. დედა, მამა, უშფოთველი ბავშვობა - ეს სახეები მოაქვს მოგონებას. ტექსტში დუბლირებულია სივრცე. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს იმის განცდას, რომ ლირიკული გმირი გაორებულია: „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ, სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი“. ის თითქოს ორ დროს, ორ სამყაროს შორის გაეხირა ისე, რომ უკვე შეუძლებელია რომელიმე მათგანს ეკუთვნოდეს. ის დაკარგულია. სწორედ აქ კვლინდება ურბანისტული მსოფლგანცდის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი - ლირიკულ გმირსა და გარესამყაროს შორის არსებული გაუცხოება, დისტანცია, ურთიერთობის სიძნელე ან სულაც შეუძლებლობა.

საინტერესოა ლექსის ფინალი - ყოველგვარი სულიერებისგან დაცლილ ქალაქში ლირიკული გმირი საშველს ვერ პოულობს. ხსნად მხოლოდ დედის მხურვალე ლოცვა ესახება: „დედა! ინახულე შენ წმინდა ხახული!“ მართალია, შვება სათუთა („მე თუ ვერ მიშველი“), მაგრამ, ალბათ, ეს ლირიკული გმირის სურვილია, სჯეროდეს რაღაც მისტიკურისა, როგორც „გრიგალისა და კორიანტელისგან“ ხსნის გზისა. ლირიკული გმირი რაღაცით უძღებ შვილს ჩამოჰგავს - მისი წერილი თითქოს აღსარებაა და სიმშვიდის მოსაპოვებლად პატიებაც კმარა. ქალაქი, როგორც ციხე და სოფელი, როგორც საყდარი - ამგვარი მეტაფორებითა და ტვირთული ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „სოფლისაკენ“.

„წვეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩენია ქუჩა - ჭალაქი,
ჩემი სამშობლო არის სოფელი“ (გაფრინდაშვილი 2010: 44)

ქალაქი უცხოა და საშიში. ლირიკულ გმირს ყველაფერი მშობლიური სოფლად ეგულება. მთელი ლექსი სწორედ კონტრასტულ და ოპოზიციურ წყვილებს ეფუძნება, მეტაფორებს, რომლებიც ნათელყოფს ლირიკული გმირის უცხოობას ქალაქში და სურვილს, დაბრუნდეს „სამშობლოში“ („ჩემი სამშობლო არის სოფელი“). მაგალითისთვის მოგვყავს რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან:

„ფოთლების პირით მთვლის ბუნება:
რად დაივიწყე სიძინდის ყანა,
დაგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უძლერე მიწას ოსანა!“
„და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს სახლებისას - ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი“ (გაფრინდაშვილი 2010: 44)

როდესაც ე.წ. „ქალაქურ ტექსტებს“ ვაანალიზებთ, ვფიქრობ, საინტერესოა იმ უნივერსალური არქეტიპული მოდელების გაცნობა, რომლებიც, თავის მხრივ, გარკვეულ საზრისებს გულისხმობს მნიშვნელობას იძენს სემიოტიკურ სივრცეში. ყურადღებას კი ლოტმანისა და ტოპოროვის თეორიებზე შევაჩერებთ.

იური ლოტმანი სტატიაში „პეტერბურგის სიმბოლიკა და ქალაქის სემიოტიკის პრობლემები“ საუბრობს ქალაქების ორ ტიპზე - კონცენტრული და ექსცენტრული ქალაქების ტიპზე. პირველი მათგანი, როგორც წესი, გულისხმობს იმგვარ ქალაქს, რომლებიც გორაკებზეა გაშენებული. ასეთი ქალაქი მოიაზრება, როგორც დამაკავშირებელი ცისა და მიწისა. მის ირგვლივ თავს იყრის მითები (რომლებშიც ფიგურირებენ ღმერთები). მას აქვს დასაწყისი, მაგრამ არა აქვს დასასრული - ეს „მარადიული ქალაქია“. ექსცენტრული ქალაქი ეფუძნება „ნაპირის“ კულტურულ სივრცეს: ზღვის სანაპირო, მდინარის პირი. ანტიოთხის ცა/მიწა ნაცვლად ამ შემთხვევაში აქტიურდება ოპოზიცია ბუნებრივი/ხელოვნური. ასეთი ქალაქების წარმოშობა უკავშირდება ბუნებას და ამავდროულად უპირისპირდება მას. ლოტმანის აზრით, ეს ოპოზიცია ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს - ერთი მხრივ, ეს განასახიერებს გონების გამარჯვებას სტიქიებზე, ხოლო მეორე მხრივ, ეს ერთგვარი დამახინჯებაა ბუნებრივი ესთეტიკური წესრიგისა. „ასეთი ქალაქის ირგვლივ თავს იყრის ესქატოლოგიური მითები -

დალუპვის წინასწარმეტყველება, განწირულობის იდეა და სტიქიის გამარჯვება ქალაქური მითოლოგიის ამ ციკლის განუყოფელი ნაწილია. როგორც წესი, ესენია წარღვნა, ზღვაში ჩაძირვა. პირველი ტიპის ქალაქებია რომი, პარიზი, მოსკოვი. მეორე ტიპის - პეტერბურგი, ვენეცია, ამსტერდამი" (ლოტმანი 1984: http://www.historicus.ru/simvolika_Peterburga_i_problemi_semiotiki_goroda).

რუსი ლიტერატურათმცოდნე ვ. ტოპოროვი, განიხილავს რა ქალაქებს მითოლოგიური ასპექტით, გვთავაზობს მათ ორგვარ ტიპს: „ქალაქი-ქალწული“ და „ქალაქი-მეძავი“. „ქალაქის გაჩენასთან ერთად ადამიანი შეუერთდა არსებობის ახალ წესს, რომელიც, ძველი წარმოდგენებიდან და საზომებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა არ მოგვეგვებოდა პარადოქსულად და ფანტასტიკურად. გადარჩენა, მეტიც, მაქსიმალური სიკეთისკენ მიმავალი გზის პერსპექტივა, რომლის სანაცვლო „არასამოთხებრივი“ პირობებში იყო ქალაქი, ამიერიდან დაუკავშირდება დაუცველობას, ეჭვს, გარყვნილებას, ღვთისგან მიტოვებულობას და საბოლოოდ –სატანჯველს” (ტოპოროვი 1987: http://ec-dejavu.ru/p/Publ_Toporov_Babilon.html).

ტოპოროვი ავითარებს ამ აზრს და ახასიათებს ორ პოლუსებრივად განსხვავებულ ქალაქს - ერთი მხრივ, ქალაქი, რომელიც დაწვევლილი, გარყვნილი და დაცემულია, ქალაქი-უფსკრული, რომელიც ზეციური სასჯელის მოლოდინშია (ქალაქი-მეძავის მაგალითად მას ბაბილონი მოჰყავს), ხოლო, მეორე მხრივ, გარდაქმნილი და სახელოვანი ქალაქი, რომელიც ღვთივკურთხეულია (ქალაქი-ქალწული, მისი აზრით, იერუსალიმია).

ვფიქრობთ, რომ „ცისფერყანწელების“ ადრეულ შემოქმედებაში ქალაქი ექსცენტრული სივრცეა. იგი უკავშირდება დაცემას, დალუპვას, გარყვნილებას. ამის ყველაზე ნათელი ნიშნებია კოლაუ ნადირადის „ავზნიანი ქალაქი“, შალვა აფხაიძის „წერილი სანდროს ტფილისიდან“, ტიციან ტაბიძის „თბილისის ღამე“.

დაცემული ქალაქი, ქალაქი-მეძავი - „მე ხშირათ მიყვარს ეს ქალაქი მრუში და მყრალი“ - ასე იწყება კოლაუ ნადირადის ლექსი „ავზნიანი ქალაქი“. ალბათ, რთულად მოიძებნება ქალაქის იმგვარად საზარელი პეიზაჟი, როგორც ამ ლექსშია.

„მე ხშირათ მიყვარს ეს ქალაქი მრუში და მყრალი;
ატალახებულ ქუჩებს მივყვები, ვუცქერ უკბილოთ
დაღრეჟილი სახლებს.
ხარბათ დავებებ მახინჯ სახეებს,
მკლავებში მახრჩობს მე ვიწრო კვალი ავზნიანი და
ცოდვებით მთვრალი“
(ცისფერყანწელები 2007: 115)

ატალახებული, ათამანგით პირდაჭმული ქუჩები, უკბილო, დაღრეჟილი, ავადმყოფი სახლები, მახინჯი სახეები - შემზარავი სურათია. თუმცა მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ კოლაუ ნადირადის პირველი ლექსი სწორედ ასეთია - ეს მოდერნისტების ახალი ხედვაა, სამყაროს ახლებური აღქმა. „ცისფერყანწელების“ მანიფესტი სტერეოტიპების რღვევას ქადაგებდა. ქალაქი, რომელსაც აქამდე და ამის შემდეგ პოეტები ხოტბას მიუძღვნიან (მათ შორის, მოგვიანებით თავად „ყანწელებიც“), მოდერნიზმის ეპოქის დასაწყისში სწორედ ასე აღიქმება პოეტების მიერ.

ამრიგად, ქალაქი მოდერნიზმის თეორიული და მხატვრული აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი რეფლექსიის საგანია. ქართველი მოდერნისტები ეპოქისთვის აქტუალური თემის ადეკვატურ გააზრებას ახდენენ. მათ “ქალაქურ ტექსტებში” ასახულია ყველა ის ძირითადი თემა, რომელიც ურბანული ყოფის განვითარებასთან ერთად გააქტიურდა: ცხოვრების რიტმის აჩქარება, ღირებულებების დევალაცია, ფულის კულტი, დისჰარმონიული გარემო და ამ ყველაფრის ადამიანთა ფსიქიკაზე ზემოქმედების შედეგი. თემების ამგვარად კრიტიკულად გააზრებით ვერ დაიტრიალებოდა ბევრი მათი თანამედროვე, ქართველი თუ უცხოელი კოლეგა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასათიანი 1977: აბაშიძე გ. კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ბოდრიარი 2014: ბოდრიარი ფ., „ქალაქი და სიძულვილი“, მის: ჰტტპ://არილიმაგ.გე/ჟან-ბოდრიარი-ქალაქი-და-ს/ (განთავსებულია 19 ნოემბრიდან, 2014 წელი)

გაფრინდაშვილი 2010: გაფრინდაშვილი ვ. 100 ლექსი. თბილისი: „ინტელექტი“, 2010.

ზაქარაძე 2014: ზაქარაძე ლ. „მოსკოვი, როგორც საბჭოთა აზროვნების ტოპოსი ვალტერ ბენიამინის ქალაქის სემიოტიკაში“, კრებ. „ფილოსოფიური ურბანისტიკა“. თბილისი: ნეკერი“, 2014.

ზიმელი 2014: ზიმელი გ. „მეტროპოლისი და მენტალური ცხოვრება“. კრებული „ქალაქი. კრიტიკული შესავალი“, თბილისი: 2014.

იაშვილი 2004: იაშვილი პ.საიუბილეო საარქივო გამოცემა, წიგნი 1. თბილისი: საქართველოს გ. ლენინის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, 2004.

ირემაძე 2014: ირემაძე თ. „ქალაქის იდეის კრიზისი. ურბანული სივრცის ეპიფენომენტა კრიტიკისათვის“. კრებ. „ფილოსოფიური ურბანისტიკა“. თბილისი: „ნეკერი“, 2014.

ლომიძე 2016: ლომიძე გ. „ტფილისური ავანგარდი“, კრებ. „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“. თბილისი: „მერიდიანი“, 2016.

ლოტმანი 1984: Лотман Ю., Символика Петербурга и проблемы семиотики города. 1984. მის: ჰტტპ://წწწ.პისტორიციუს.რუ/სიმვოლიკა- ეტერბურგა-ი-პრობლემი-სემიოტიკი-გოროდა

ნიცშე 1993: ნიცშე ფრ. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. თბილისი: „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, 1993.

ნიცშე 2011: ნიცშე ფრ. ჩჩ . თბილისი: „ნეკერი“, 2011.

ტოპოროვი 1987: Топоров В., Текст города-девы и города-блудницы в мифологическом аспекте, 1987. მის: ჰტტპ://ეც-დეჯავუ.რუ/პ/ უბლ-თოპოროვ- აბილონ.ჰტმლ

უნამუნო 2016: უნამუნო მ. „დიდიდაპატარა ქალაქები“. მის: ჰტტპ://წწწ.ქველლყცომ/გროუპ/ლიტერატურე/ფორუმ/ტოპიცს/ქალაქი(განთავსებულია 12 აპრილიდან, 2016 წელი)

ჰაიდეგერი 1993: ჰაიდეგერი მ. „თემზარა“, თბილისი: „გონი“, 1993.

The city in the modernist aesthetic

Summary

Modernism is a very difficult and vast event. This is an epoch when a lot of things are questioned and no one doubt before about its' accuracy. Everything is changed- the way of life, the rhyme of the life is tensed, neurotic and the time is accelerated.

The city is an important space in the aesthetics of modernism. This is a space where are developing very important socio-cultural processes, we have to notice, that the main items for modernism is the center and periphery.

The first urban texts in Georgia appear in the 10-20th century. In this period Tbilisi becomes cultural center. There are Georgian, Russian, Armenian artists and they create multi-cultural center. Meanwhile appear various cafes. Romanticism is associated with a saloon culture, while the cafes where the symbol of modernism.

For Georgian modernists the main item is the city. They were making adequate analysis for the current topic of the epoch.